სახალხო გაზეთი

№ 889 ოთხშაბათი, 8 მაისი 1913 წ. № 889

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის-მოწერა
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი

უცხოეთის მწერლები
კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა და ჰენრ. სენკევიჩის თხზულებები.

ქართველი ერის ისტორია
პროფ. ივ. ჯავახიშვილისა. სურათებითა და საქართველოს რუკით.

სურათებიანი დამატებით
(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემიები „უცხოეთის მწერლები“ და „ქართველ ერის ისტორია“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. უნდა გადახდილი იყოს 1 ენკენისთვემდე.
(საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.)

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

სვიმონ და ანდრია გრიგოლის ძენი და ანასტასია და ელისაბედი გრიგოლის ასულნი კლდიაშვილნი, ნინო გრიგორის ასული აბაშიძისა და მარიამ ზიხეილის ასული კლდიაშვილისა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 მაისს გარდაიცვალა პირველის, მეორის და მესამის დედა და მეოთხის დედამთილი

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა.

ცხედარს გამოასვენებენ (ვერა, ფიქრის გორა, კლდიაშვილის სახლი) დღეს, 8 მაისს, დილის 9½ საათზედ ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება იმავე ეკლესიის სასაფლაოზედ. 267

კვირას, 12 მაისს,
ავლაბრის საზაფხულო კლუბში (მიხეილის ქ., № 65, კარაპეტიანცის ბაღი)
საზოგადოება „განათლება“ ჰმართავს
დიდ სეირნობას

ავშვებისათვის გასართობები: ყვავილთა დედოფალი, ნიშანში სროლა, ანკესი, სინემატოგრაფი, შარადები საჩუქრებით და სხვა. გამართული იქნება ამერიკული ბაზარი, უხვი ქვევრი, დის გასაღები, ფოკუსნიკი, ყვავილები, კონფეტები—საჩუქრით და მრავალი სხვა გასართობები. **დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი. დასაწყ. ნაშუადღ. 3 ს.**
შესვლის ფასი 25 კ., ყმაწვილთათვის და ჯარის კაცთათვის—15 კ. 1199

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
ხუთშაბათს, 9 მაისს 1913 წ. ქართ. სახალხო წარმ. მმართ. წრის მიერ გამართული იქნება
საღამო დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის სახსოვრად
მსახიობ ბ. ბ. **ვ. გამყრელიძის და კ. ყიფიანის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება განსვენებულის კომედია
პეპო 3 მოქმ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. რომანიშვილი—დგებუაძისა, **პიერეტტა**, ელ. იმაკურიძე ბ-ნნი გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, **ვ. გამყრელიძე**, ს. რომანიშვილი, **კ. ყიფიანი** და ნ. ჭანკვატაძე. ადგილების ფასი 5 კ.—50 კ—მდე დასაწყისი საღამოს 8½ ს. შემდეგი წარმოდგენა 18 მაისს, ,,**იმედის დაღუპვა**'' რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე** წრის ადმინისტრ. 1160

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ართ. კულტ. მოყვარულ. საზოგადოება.
ხუთშაბათს, 9 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება
საჯარო სხდომა ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოებისა. კრების საგანს შეადგენს:
პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და მის პოეზიის გაცნობა.
წაიკითხავენ მოხსენებებს ვახტანგ ორბელიანის შესახებ ბ-ნნი **კიტა აბაშიძე და დავით კასრაძე. ვახტანგ ორბელიანის რჩეულ ლექსებს პოეტი ი. გრიშაშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი** და ქართულ სცენის მსახიობნი **ი. იგნიძე, გ. მაჭარაძე, კ. ყიფიანი** და სხვა. **ნიკ. სულხანიშვილის** გუნდი (75 სულისაგან შემდგარი) შეასრულებს ქართულ ეროვნულ სიმღერების კილოზე გადაღებულ ვახტანგ ორბელიანის ლექსებს და სხვა სიმღერებს, (სხვათა შორის, რ. ერისთავის ,,**სამშობლო ხევსურისა**''), 1192

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში''
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა ,,იმერეთში'', **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ყავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. ხვართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათუმში**—წიგნის მაღაზია ,,განთიადში'', **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში'' ,,მოამბის'' ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით**. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
კანონი
გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში **ფასი 30 კ.**
თარგმანი და გამოცემა **ა. თ. ყიფშიძე.**
ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით:
Тифлисъ. Книжный магазинъ О-ства Расп. Грамотности. 1198

ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები**:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. შობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თოქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ, პარას. და კვირას 11—12 **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 0 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს
გ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე. კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი. ყ. დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა ,,606''-ით 1053

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოფლანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94**, კიროჩნი ქუჩის ახლოს, **საფოსტო განყოფ.** პირდაპირ. 102

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილის
ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდე, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ., № 18**, (ვორონცოვის ძეგლის ახლოზ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ქუთაისში
ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ბუფეტი ,,სატივო''
ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.
◆ **აზიური საჭმელები**
ახალის სანოვაგისა ◆
ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ბაკუ“-ში გ. ჟუმანიშვილი სწერს:

„ჟურნალ „სოვრემენიკ“-ს ბედნიერი აზრი დაჰბადებია: გამოიყენოს რუსთათვის სრულიად ახალი, უცნობი ბელეტრისტული მასალა—არარუსთა ლიტერატურა. რამდენიმე თვის წინად გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ ქართველ ლიტერატორთა წრეს განუზრახავს სთარგმნოს რუსულად საუკეთესო ნაწარმოებნი ქართულ ლიტერატურისა და მაქსიმ გორკის შემწეობით მიაწოდოს ისინი რუსულ საზოგადოებას. ზოგიერთი ნიშანია, რომ ასეთივე აზრი მაჰმადიანთა ინტელიგენციასაც დაჰბადებია. ამ განზრახვის ასრულება სასურველია, რადგან არარუსთა ხელოვნურ ლიტერატურაში მოიძებნება ისეთი საყურადღებო ნაწარმოებნი, რომელნიც მდიდარ რუსულ ლიტერატურასთან შედარებითაც კი არ დაჰკარგავენ თავის დიდ ღირსებას. აქ, შეიძლება, მოხდეს ისეთივე მოულოდნელი ამბავი, როგორიც მოხდა რუსულ ლიტერატურის გაცნობის შემდეგ დასავლეთ ევროპაში, როცა მთელი ევროპა გაკვირვებული იყო რუსული სახელოვნო ლიტერატურის სიდიადითა და მაღალის ღირსებით“.

შემდეგ ავტორი ეხება „სოვრემენნიკ“-ის აპრილის №-ში დაბეჭდილ თათრულ მოთხრობას „შაქირ-აზი“ და დასძენს:

„დაგვრჩენია ვუსურვოთ, რომ ჟურნალმა აგრეთვე შეკრიბოს ყოველი კარგი ნაწარმოები სომხურ და ქართულ მწერლობიდან და გააცნოს რუსის საზოგადოებას. აქამდე ამ მხრით თითქმის არა გაკეთებულა-რა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ისეთმა კლასიკურმა თხზულებამაც-კი, როგორიც არის შოთა რუსთაველის შესანიშნავი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“, აქამდე ვერ იპოვა ღირსეული მთარგმნელი რუს პოეტთა შორის“.

⁂

გაზეთ „რეჩ“-ში დაბეჭდილია ვ. ბოგუჩარსკის წერილი გარდაცვალებულ ივ. სპ. ჯაბადრის შესახებ. სხვათა შორის, ბ-ნ ბოგუჩარსკის მოჰყავს ჯაბადრის მოგონებებიდან შემდეგი ცნობები:

„1874 წელს ჯაბადარი გამოვიდა საქიმიო აკადემიიდან და გაემგზავრა შვეიცარიაში. იქ იმ დროს სწარმოებდა საინტერესო სეპარატისტული მოძრაობა ქართველ მოსწავლე ახალგაზდობის შორის. კონგრესიც იყო მოწვეული კავკასიელ ახალგაზდებისა; კონგრესზე გადაწყვეტილ იქმნა საკითხი „კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის“ დაარსების შესახებ. სულ მცირე უმცირესობა, რომელთა რიცხვში იყვნენ დოლგატი, ციციშვილი, ჩოლოყაშვილი, ელიოზიშვილი, ჩიკოიძე, თვითონ ჯაბადარი და ორიოდე სხვა, წინაალუდგა ამ გადაწყვეტილებას და იწვევდა ქართველ ახალგაზდობას რუსეთის მებრძოლ ახალგაზდობასთან საერთო მუშაობისთვის. ამავე დროს რუსეთიდან მოვიდა ამბები მრავალ ნაროდნიკების დატუსაღების შესახებ. ქართველმა ახალგაზდება, რომელნიც არ შეუერთდნენ სეპარატისტებს, მაშინვე გადასწყვიტეს რუსეთში წასვლა და სარევოლიუციო მოძრაობაში ჩაბმა. ეს ახალგაზდები და მათთან ერთად ციურიხში მყოფი რუსის მოსწავლე ქალები, მართლაც, მაშინვე გაემგზავრნენ რუსეთს და შეუდგნენ მოღვაწეობას. მალე მთელი ეს წრე დატუსაღებული იყო და გაიმართა დიდი პროცესსი, ეგრედ წოდებული პროცესსი ორმოცდა ათისა, რომლის შედეგი იყო ჯაბადარისა და მის ამხანაგთა კატორღაში გაგზავნა“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **რომის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსი კესლერი** ტფილისში ჩამოვა 18 მაისს, საღამოს. ეპისკოპოსს მიიღებენ ქართველ კათოლიკეთა წმ. ღვთის მშობლის მიძინების ეკლესიის მონასტერში, რომელიც შუაბაზარში იმყოფება.

◆ **საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი** 18 მაისს ართვინში გაემგზავრება, სადაც 19 მაისს ახლად აგებულ სამხედრო ტაძარს აკურთხებს.

◆ გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის სურათი, იაფ-ფასიანი გამოცემა ჟურნალ „განათლებისა“. სურათი სუფთადაა დაბეჭდილი და ღირს ორი შაური.

◆ **წყლის ძებნაში.** ტფილისში დაბრუნდა თიანეთის მაზრაში წასული კომისია, რომელშიაც შედიოდნენ: ქალაქის გამგეობის წევრი თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ქალაქის ქიმიკოსი გ. გ. ალიბეგოვი, ქალაქის ინჟენერი გ. ზ. ქურდიანი, ქალაქის წყალსადენის გამგე მუხარინსკი და ბ-ნი ვაწაძე. კომისიამ ბ-ნ შანშიევის მამულში დაათვალიერა წყაროები, საიდანაც შანშიევი ქალაქს ურჩევს ტფილისში წყალი გამოიყვანოს. წყაროები მდებარეობს თიანეთიდან 14 ვერსის მანძილზე, სოფელ ხაიშედან 1 ნახ. ვერსით. სულ ყოფილა იქ სამი წყარო, რომელიც დღე-ღამეში 1 მილიონ ვედრა წყალს იძლევა. კომისიამ გლეხების თხოვნით დაათვალიერა სხვა წყაროებიც. ტფილისს დღე-ღამეში 3 მილიონ ვედრა სჭირდება, ამდენ წყლის მიცემა კი თიანეთის წყაროებს არ შეუძლიანთ. ამის გამო კომისიამ წყაროების ყოველ მხრივ გამოკვლევას თავი გაანება.

◆ **ნაძალადევლებმა** კარგა ხანია ქალაქის გამგეობას სთხოვეს, ნაძალადევს ვაგზლის გაღმა მხარე დაარქვითო. რადგანაც ქალაქის გამგეობას თხოვნა დღესაც არ განუხილავს, ნაძალადევლებმა გამგეობას გუბერნატორთან უჩივლეს.

◆ **ტფ. გუბერნატორი.** ა. გ. ჩერნიავსკი სამსახურის საქმეთა გამო გუშინ სიღნაღს გაემგზავრა.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრნი** თ-დნი ა. მ. და ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვები 15 მაისს დასასვენებლად საზღვარ-გარედ მიდიან, სადაც 15 ივნისამდე დარჩებიან.

◆ „სახ. გაზეთი“-ს გუშინდელ ნომერში, ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევაზე დამსწრე დეპუტაციათა შორის გამოგვრჩა შემდეგი წარმომადგენლები: 1) ქუთაისის ქალთა წრისა—ქ-ნნი: **ლ. კოკოჩაშვილისა** და **მ. კლდიაშვილის ასული;** 2) წ.-კ. საზოგადოების ქიათურის განყოფილებისა და დრამატ. საზოგადოებისა; 3) სომხურ დრამატ. საზოგადოებისა **ტიგრან იოანისიანი;** 4) სომხის მწერალთა საზოგადოებისა **ოვ. თუმანიანი;** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა და წერა-კითხვის საზ. ქუთაისის განყოფილების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს განსვენებული პოეტის ძეგლი.

◆ **ქალაქის შრომის ბირჟაში** წარსულ აპრილის განმავლობაში სამუშაოს მთხოვნელი მისულა 351: 176 კაცი, 175 ქალი. ამათში ყოფილა: რუსი—217, ქართველი—57, სომეხი—35 და დანარჩენები სხვა და სხვა ეროვნებისა. წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა: 122 კაცი და 55 ქალი. მუშა ხელის მძებნელი ყოფილა 233 კაცი.

◆ **საბირჟო ცნობები.** 7 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ—85 მ. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 75 კ., აძლევენ—83 მ. 15 კ., და

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირვანობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან. აძლევენ—78 მან.

◆ პეტერბურგიდან გვწერენ: „პავლოვსკში 5 მაისს იწყება კონცერტები, რომელიც ყოველწლივ დიდძალ ხალხს იზიდავს, და საგანგებო მატარებლით მიემგზავრება ხოლმე. იქ ყოველწლივ უკრავს პირველ ხარისხოვანი ორკესტრი (85 კაცი) ცნობილი დირიჟორების ხელმძღვანელობით და ასრულებენ საუკეთესო ნომრებს გამოჩენილ მემუსიკეთა ნაწარმოებიდან. წელს სხვათა შორის დაუკრავენ ბ. არაყიშვილის „ქართულ ცეკვას“ და ოპერა „შოთა რუსთაველიდან“ შესავალს“.

◆ გულ-კეთილ ხალხის საყურადღებოდ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თებრონე გიგოლას ასული მაღალაშვილისა უკიდურეს სიღარიბეს განიცდის. მისამართი: ანანურის ქუჩა, № 6, (პირველი საპოლიციო უბანი), სახლი ნემსაძისა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **შეწირულება.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო **ქართული მუზეუმისათვის** შემდეგი შემოწირულება: 1) მიხეილ სოლომონის ძე ორჯონიკიძისაგან—ერთი ძველი საპირისწამლე, ქართლში შეძენილი. 2) ქ-ნ დარია სოლოღაშვილისაგან: ა) 17 სხვა და სხვა სიგელი, ბ) ორი შევერცხლილი ყახწი, გ) ერთი სპილენძის სინი, დ) ერთი ხელთნაწერი ვახტანგის კანონებისა. 3) სპირიდონ ეგნატეს ძე სხიერელისაგან: ერთი ვერცხლის პოლონური ფული, ორიც სპარსული თითბრისა. 4) ექიმ ანდრია პეტრეს ძე პატარაიასაგან: ქვის ნაჯახი, ნაპოვნი ზუგდიდის მაზრაში, მდინარე ჩხოუშის პირას. 5) სტუდენტ მიხელ ფარნაოზისძე ჟორდანიასაგან: რკინის ნაჯახი, ნაპოვნი სოფელ ცაიშში, ურთას მთაზე. უკანასკნელი ორი ნივთი სამეგრელოდან ჩამოიტანა ბ-ნმა იპოლიტე ვართაგავამ. წ. კ. საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველებს.

◆ **საბიუჯეტო კომიტეტის** კრება 12 მაისს მოხდება 1912 წლის ანგარიშისა და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

◆ **სახალხო კითხვათა საზოგადოების** წლიური კრება 6 მაისს მოხდა ქ-ნ კ. ვ. ადრიანოვის თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების მოქმედებისა და ფულის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს: 1911 წლის 1 აპრილიდან 1913 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებას გაუმართავს 300 კითხვა რუსულსა, ქართულსა და სომხურ ენაზე 6 ადგილას: ავლაბარსა, ნავთლუღსა, ავჭალის თეატრში, სამკურნალო საზოგადოებასა, ნაძალადევსა და ხარფუხში; დასწრებია 32,500 ბავშვი; საზოგადოებას ჰყოლია დრამატიული წრე, რომელსაც ავჭალის აუდიტორიაში 46 წარმოდგენა გაუმართავს, დასწრებია 11,500 კაცი. შემოსავალი ჰქონია 1,088 მ., ამდენივე ხარჯი. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 1342 მან., კრებამ დაამტკიცა. გამგეობის წევრთა კანდიდატებად კრებამ აირჩია: კ. ვ. ადრიანოვისა, ე. კ. ლისიცინი და ე. კ. ბაჟ-ბეუქ-მელიქოვი. სარევიზო კომისიის წევრებად აირჩია: ქ-ნნი ტიხომიროვისა და მილოვისა და ბ-ნ კალიშევსკი.

ბათომი

◆ მაისის შუა რიცხვებში ქ. ბათომში გაიმართება „საღამო“. პირველ განყოფილებაში გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას: „საქართველოს ტრაგედია და ილია ჭავჭავაძე“. დასასრულ წაიკითხავს ლექსებს ი. გრიშაშვილი, ხოლო რობაქიძე—საკუთარ ლეგენდებს.

სოფლად.

◆ **უხვი შეწირულება.** თეკლათის მთავარ ანგელოსის მამათა სავანეს სასმელი წყალი დღემდე არ მოეპოვებოდა. ამას წინად სავანე დაათვალიერა აბაშის ვაჭარმა ათანასე ანდრიას ძე ჭანტურაიამ, რომელმაც მონასტრის ეზოში წყლის გამოსაყვანად 400 მან. შესწირა. ამ ფულით 360 საჟენის მანძილიდან უკვე გამოიყვანეს მილით მშვენიერი წყალი. კარგი იქნება ათ. ჭანტურაიას მაგალითს სხვებიც მიბაძავდნენ.

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სასწავლებლის მუსიკალური დილა

ორშაბათს, 6 მაისს, ახალი კლუბის დარბაზში ფილარმონიულ საზოგადოების სასწავლებლის მოწაფეთა მუსიკალური დილა გაიმართა. ეს მესამე დილაა სასწავლებლის დაარსების შემდეგ. ვინც ყველა გამართულ დილას დაესწრო, იმისათვის ცხადია, თუ რა დიდის ნაბიჯით მიდის წინ სასწავლებლის საქმე. ის მოწაფეები, რომელნიც შარშან წინ ვერ ახერხებდნენ წმინდა აკორდებს, წელს მშვენივრად ასრულებდნენ რთულ ტეხნიკურ მუსიკალურ ნაწარმოებებს. წელს აგრეთვე პირველად იყო სიმღერა. დილის პირველ ნაწილს ასრულებდნენ დაბალი კლასის მოწაფეები და ისე მოხდენილად, ისე ლამაზად და დაბეჯითებით, რომ დამსწრეთ სიამოვნება მოჰგვარეს. შემდეგ კი უფროს კლასის მოწაფეებმა შეასრულეს ძნელი ნომრები. ამათგან ყურადღება მიიქციეს მოწაფე ქალებმა: მესხიშვილმა და აბულაძემ, (ქ. ფოგელის კლასი), რომელთაც ერთად დაუკრეს როიალზე მოცარტის „სონატა“, ბაუერმა (ქ. კალაშნიკოვას კლასი) შეასრულა ბეთჰოვენის „ვირიაციონი“. ბუნიოვამ (ქ. შაბუროვას კლასი)—შეასრულა Wollenhaupt. „Valse“, ქ. ცოცხაძემ (ქ. ფოგელის კლასი)—შეასრულა Reinholot, „Importu“, ქ. უტკინამ (ქ. ამირაჯიბის კლასი) შეასრულა, Noroff-Henselt, „A'z russe“ და ქ. გვარამაძემ (ქ. ფოგელის კლასი), რომელმაც საუცხოვოდ დაუკრა როიალზე დუსსეკის „სონატა“. უკანასკნელის დაკვრა ძლიერ საყურადღებოა; ამ მოწაფეს ისეთი ნიჭი უნდა ჰქონდეს, რომ შეიძლება მისგან მოელოდეს საუკეთესო დამკვრელს. და იმედია იგი ფილარმონიულ სკოლის დასრულების შემდეგ თავს არ დაანებებს მუსიკას. გარდა ამისა სიმღერის დროს მშვენიერი ხმა გამოიჩინა მოწაფე ქალმა ა. ალაძემ, რომელმაც იმღერა მენდელსონის На крыльяхъ поэзій“ და ზ. ფალიაშვილის „ნანა“. უკანასკნელი დამსწრეთა თხოვნით განმეორებული იქნა. საყურადღებო იყო აგრეთვე ცხრა მოწაფე ქალის მიერ შესრულებული მეტად ძნელი როსინის „სათნოება“, რომელიც იმღერეს: ორლოვამ, რეზნენკომ, ალაძემ, პოპოვამ, სომჩევსკაიამ, რუკოვიშნიკოვამ, სუზანდჟიანმა, ახშარუმოვამ და დავიდოვამ (ყველა ქ. სტრახოვა-სოლოვიოვას მოწაფეებია), არლოვა სოლოს მღეროდა და ძლიერ კარგადაც, მხოლოდ ამ ქალს პატარა ლირიკული სოპრანო აქვს. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა ამ მოწაფეების ცოდნით, და მიუხედავად იმისა, რომ დირექცია სკოლისა სთხოვდა ტაში არ დაეკრათ, მოწაფეები ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

საზოგადოების საყურადღებოდ

ეჭვს გარეშეა, ჩვენი სასულიერო მუსიკა განვითარების გზაზე დადგა. იყო დრო, საშიში დრო, როცა ჩვენს გალობას განსაცდელი დაატყდა თავს: ძველი გალობა ისპობოდა, ჰქრებოდა; აქა-იქ თუ მოიძებნებოდა ძველის გალობის მცოდნე რამდენიმე მოხუცებული, თორემ გუნდები აღარ იყო, იკარგებოდა ძველი ჰანგები ჩვენი შესანიშნავი საეკლესიო გალობისა; ახალი-კი არსად სჩანდა არაფერი.

წარსულ საუკუნის მე-80 წლებიდან, საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ენერგიული მცოდნენი, რომელნიც შეუდგნენ ძველის საუნჯის დაცვისთვის ზრუნვას: დაიწყეს გალობის ნოტებზე გადაღება. უფრო ადრე, აღმოსავლეთ საქართველოში, ამ მხრით, დიდი სამსახური გაუწიეს საქმეს ძმებმა კარბელაშვილებმა, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ძველი ქართლ-კახური საეკლესიო გალობა. იმერეთში ამავ საქმისთვის ბევრი გააკეთა განსვენებულმა ფილიმონ კორიძემ. ეხლა-კი, არა-მარტო ძველის აღდგენა-დაცვისთვის სწარმოებს მუშაობა, ახალი ხანაც იწყება,—ხანა განვითარება-შემუშავებისა. ეჭვი არაა, ამ გზაზე ბევრი შეცდომაც მოგვივა; შეიძლება, ზედმეტად გაგვიტაცოს ევროპიულ-რუსულ გალობის კილომ, მიბაძვა გადაჭარბებული გამოდგეს. მაგრამ, ეს საშიში იმდენად არაა: გავა დრო, უკიდურესობა და ცალმხრივობა თავისას მოიკამს და ეროვნული სასულიერო მუსიკა თავის გზას გაიკვლევს. ამის თავდებია—დღევანდელი ჩვენი შეგნება, ერთის მხრით, და ჩვენი გალობის სიმდიდრე-სიმშვენიერე, მეორის მხრით, რომელსაც თავისი საკუთარი გზა ეკადრება ევროპიულ ტეხნიკის და სიმშვენიერის მიხედვით გაკვლეულ-განვითარებული.

ეს არის მხოლოდ საჭირო, რომ საზოგადოების მხრით თანაგრძნობა და დახმარება იყოს, რათა ჩვენს მცოდნეთა და სპეციალისტებს საქმე გაუადვილდეს. თუ დახელოვნებულ ლოტბართა და სპეციალისტებს შეძლება არ ექნებათ თავისი ნამუშევარი დაბეჭდონ და მიაწოდონ საზოგადოებას, თუ მათ საშუალება არ ექნებათ არსებული ჰანგები ნოტებზე აღბეჭდონ და ისე შეინახონ, დაიცვან გაქრობისაგან, მაშინ ყოველი პროგრესი, ყოველი წარმატება შეუძლებელი გახდება. ამიტომ, ვიწვევთ ყველა ჩვენებურ დაწესებულებათ და კერძო პირთ, ვისაც ჰსურს ჩვენი ერის ყოველმხრივი დაწინაურება, არ დაიშურონ დახმარება...

ამ ჟამად, მაგალითად, ასეთი შემთხვევაა: ჩვენს ცნობილს მუშაკს ამ სარბიელზე, ბ-ნ ზ. ჩხიკვაძეს, შეუგროვებია, შეუმუშავებია და დასაბეჭდათ სრულებით გაუმზადებია 42 სხვა და სხვა საგალობელი, რომელთა დაბეჭდვა ძალიან საჭირო და სასარგებლოა. სამწუხაროდ, შეძლება არა აქვს ეს საქმე აასრულოს და ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ. თუ გვაინტერებს ჩვენი სასულიერო ხელოვნების განვითარება, უთუოდ უნდა შევუწყოთ ხელი ბ-ნ ზ. ჩხიკვაძესაც.

მოგვყავს ქართლ-კახურ კილოზედ საეკლესიო საგალობლეიი დაწერილი და დამზადებული დასაბეჭდად სამ ხმად და ზოგი ოთხ ხმაზედ ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძისაგან: „აკურთხევ სული ჩემი უფალსა“ „მხოლოდ შობილი“, „მრწამს ერთი ღმერთი“, „მამათ ჩვენო“, „სასუფეველსა შენსა“, „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ (ოთხ ხმაზედ)., „წმ. ღმერთო“ ღვდელმთავრისა, „წმ. ღმერთო“ იმერულ კილოზედ, „წმ. ღმერთო“ მიცვალებულისა, „წმ. ღმერთო“ სამი მარტო ხმისათვის, „რომელნი ქერაბიმთა“ ოთხ ხმაზედ. „შენ გიგალობ“ „ღირს არს ჭეშმარიტად“, „შენ ხარ ვენახი“, „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“. ქრისტეს შობის ტროპარი. ნათლის ღების ტროპარი. წმ. ნინოს ტროპარი. წმ. გიორგის ტროპარი. ამაღლების ტროპარი. სულთმოფენობის ტროპარი. ქრისტეს შობის სძლის პირნი. „რაოდენთა ქრისტეს მიერ“. „ანგელოზისა ხმასა“. „უფალო ღაღად ვყავ და წარემართე მეოთხე ხმისა. „უფალო ღაღად ვყავ“ წარემართეთი მეექვსე ხმისა „ღმერთი უფალი“ მეოთხე და მეექვსე ხმისა. „აღსდეგინ ღმერთი“. „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ ოთხ ხმაზედ. „ანგელოზი ღაღადებს“. „განათლდი განათლდი“. „შენდამი იხარებს“. „წარემართე ლოცვა ჩემი“. „წმინდათა თანა“. განსვენ. ი. გ. ჭავჭავაძის დასაფლავებაზედ დაწერილი ოთხ ხმაზედ. „აწ განუტევე მონა შენი“. „ისპოლა“. „ტონ დესპოტინ“ ღვდელ მთავრისა. „ვინ არა განატრიდეს“ მეექვსე ხმის დოღმატიკი „უმეტესად კურთხეულ ხარ შენ“. „საიდუმლო უცხო და დიდებული“ შობის მეცხრე სძლის პირი ოთხ ხმაზედ. „მოკლე მონასტრული მრავალ ჟამიერი. „მრავალ ჟამიერ“ ძველი გრძელი მონასტრული.

გარდა ამისა სხვაც ბევრი საგალობლები ჰქონია შავად დამზადებული, ყველა დაწერილია ქართლ-კახურ კილოზედ და ზოგიც იმერულ-გურულ კილოზედ. თუ რომელიმე საგალობლები შეკეთებულია ოთხ ხმად, მათში ქართული კილო ყველგან დაცულია. ვიმეორებთ, კარგი იქნება ამ შრომის დაბეჭდვაში ბ-ნ ჩხიკვაძეს დაეხმარებოდეს საზოგადოება.

ფრიად მოსაწონი დაწესებულება

ჯერ ერთი წელიწადი არაა, რაც ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან დაარსდა უფასო სასადილო ღარიბ მოწაფეებისთვის, მაგრამ უკვე დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა საზოგადოებისა და მისი მოქმედების ნაყოფი მეტად თვალსაჩინოა. ყველას ეცოდინება, თუ რა განსაცდელშია საერთოდ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა, ხშირად მოკლებული უბრალო თავშესაფარს და ლუკმა პურს. ასეთი მოსწავლე ბევრია ადგილობრივ ქართულ გიმნაზიაში. აქ ნახავთ ბავშვებს შემოცვეთილ ტანისამოსში, რომელთაც ცივი პურიც საძებარი აქვთ. ამგვარი მოწაფეების დასახმარებლად შარშან შემოდგომაზე შესდგა წრე, რომელმაც 3 ოქტომბერს გახსნა გიმნაზიის შენობაში უფასო სასადილო ასი ბავშვისათვის და შემდეგ მიუმატა ოცი სადილი.

საზოგადოება თავიდანვე დიდის ხალისით და თანაგრძნობით მიეგება წრის განზრახვას. წრეს ჰყავს დღეს 186 წევრი, 41 დამხმარე და 16 მუდმივი წევრი, რომელთაც ას-ასი მანეთი აქვთ გადახდილი. სასადილომ ბევრი შემოწირულობა მიიღო ფულადაც და ნივთებითაც. შემოსავალი იყო დაახლოვებით 5873 მან., მისაღები აქვს ახალი კლუბისაგან 600 მ., და ქალაქის გამგეობასაგან 100 მან., დახარჯულია 1 მაისამდე 1774 მან. თავისუფალი ფული შენახულია სამეურნეო ბანკში. სასადილოს საქმეებს განაგებენ იშვიათის სიმხნით და მონდომებით ჩვენი ქალები პატივცემული მარიამ ჯამბაკურიან-ორბელიანის მეთაურობით. გამგეობა შემოდგომაზე მოიწვევს წევრების კრებას, რომელსაც წარუდგენს დაწვრილებით ანგარიშს. გამგეობას განზრახული აქვს მომავალი წლიდან გააფართოვოს მოქმედება და იმედია საზოგადოება სასადილოს არ მოაკლებს წინანდებურს თანაგრძნობას და დახმარებას. ვისაც უნახავს ჩვენი მოწაფეების ცხოვრება და შეგნებული აქვს ახალგაზდობის კეთილი განვითარების მნიშვნელობა, ის დააფასებს ამ უფასო სასადილოს ფრიადს სარგებლობას.

ცოტა რამ ფილოქსერაზე

(წერილი კახეთიდან)

ცოტა რამ მეთქი, თითქოს ეს საკითხი დიდი ყურადღების ღირსი არ იყოს და მთელი კახეთის ყოფნა არ ყოფნის საკითხს არ შეადგენდეს.

დიახ, საქართველოს საუკეთესო მხარეს, კახეთს, რომლის უმთავრეს საცხოვრებელ წყაროს მევენახეობა შეადგენს, დღეს, ფილოქსერის გაჩენით, დიდი საფრთხე მოელის, რომლის წყალობით ადვილი შესაძლებელია ვენახებით სავსე სამოთხის მსგავს ალაზნის ველზე რამდენიმე წლის შემდეგ ვაზის ხსენება არ იყოს, თუ მის წინააღმდეგ ეხლავე არ დაიწყო ბრძოლა კახეთმა.

ფილოქსერა თელავში აღმოაჩინეს, გასულ აგვისტოში. ხუთი თუ მეტ დესეტინის სივრცეზე და ადგილობრივ მიიღეს ზომები, რომ ამ რაიონიდან სხვაგან არ გადაეტანათ, მაგრამ დღესავით ცხადია ფილოქსერა ბევრ სოფელში იქნება მოდებული. ჯერ ერთი ამ დასნეულებულ ვენახებში ინსტრუქტორმა ბ. მაკარაშვილმა ფრთიანი ფილოქსერაც აღმოაჩინა და ეს ფრთიანი-კი შორს მანძილზე ადვილად გადაფრინდება, ან ქარი წაიღებს. ესეც რომ არ იყოს,

ცხოვრება და ხელოვნება

(1912 წლ. ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერი)

II *)

ეხლა დაუკვირდით იასონისა და რენოს მიჯნურობას. ხორციელია იგიც, იგიც მგრძნობელობის სამეუფოდან არის, მაგრამ სულ სხვა გვარია, სულ სხვა პოლიუსზე სდგას იგი. სულ სხვა ჯური არის რენოს სიყვარული. ისიც ამ-ქვეყნიურია, ადამიანური, იგიც სქესობრივი მისწრაფებაა უმთავრესად, მაგრამ დემეტიკას წინააღმდეგ იგი ფართოდ ეგოისტურია, რომელიც ალტრუისტობას უახლოვდება: სიამოვნება და სიტკბო განუსაზღვრელი მას არ უნდა, მასა ჰსურს მისი სხეული სატრფოს დაანებოს, რათა მას ასიამოვნოს და მით თვითონაც ისიამოვნოს.

მაშინ. როდესაც დემეტიკა თავის ჟინზე ფიქრობს, რენო იასონის კმაყოფილებასა და თანაგრძნობას იძიებს. ნეტარება და სიხარული იასონის შემწეობით, ბედნიერება იასონის დაკმაყოფილებით—გარეშე ამისა, მისთვის არ არსებობს სიცოცხლე და სიტკბოება. მაშინ როდესაც დემეტიკა მზად არის ფრიქსი გააცამტვეროს, მიწასთან გაასწოროს თავისი კაპრიზების მსხვერპლად, მაშინ როდესაც დემეტიკა არას დასდევს ფრიქსი მიიღებს თუ არა რაიმე ნეტარებას მისი ხვევნა-კოცნით; დემეტიკას მარტო თავისი გრძნობის დატკბობა სწადიან.

რენო სულ სხვა აგებულების, სხვა შესახედაობისაც, არის. ჯერ ერთი მას სულ სხვანაირად აცვია. მისი ტანთსამოსიც, რა თქმა უნდა, ხორციელების გამომაშკარავებელია, მაგრამ იმდენად, რამდენაც ეს ბუნებრივ კდემასა და სირცხვილეულობას არ შეურაცხჰყოფს. მის ტანთსაცმელში თუ ვნების აღმძვრელი რამ არის სრულიად კანონიერის და სრულიად მარტივის ხერხით არის მოპოვებული, იმდენად, რამდენადაც ეს მიუცილებელია ახალგაზრდა, მშვენიერის და ჯანსაღის ადამიანისათვის.

„თხელ მარმაშის ტანისამოსს შეურხევდა ოდნავ ქარი
ნათლად სჩანდა მომხიბვლელი ძუძუმკერდი, ტანათ-მრგვალი;
თითქო კოკორ აყრილიყო ცეცხლით სავსე მოტრფიალი.
თმის კულული ყელზე სცემდა, მორცხვად მზერდა ლურჯი თვალი,
ანათებდა ტურფა ბაგით კბილი შუქით გამომკრთალი
თავი მაღლა ვერ აელო, ემსჭვალოდა ტრფობის ალი.
იასონმა მიიზიდა, გულს მიიყრდნო მეფის ქალი;
რენომ ეშხით იწყო თრთოლა, ჰნებდებოდა ვნებით მთვრალი
მიიწნიდა, მიილულა, მთლად წართო ცნობის ძალი“,

დემეტიკა სამოსს ატარებდა განაგებ „გვერდით ჩახეულსა“, რომ ნაკვთები გამოეჩინა და თავისი პლასტიკით ვნება აღეძრა. სამოსი მისი ლეჩაქივით გამჭირვალე იყო, რომ მაცდური მისი ხორცი გამაბრაზებელ საგნად გაეხადა. მისი ბაგე ლალი იყო, ესე იგი სისხლით აღსავსე, ვნებიანობისა და ეშხიანობის უეჭველი ნიშანი. მისი თვალნი ცეცხლს აფრქვევდნენ, „სხვასა სწვავდნენ ეშხიანსა, თვითეე იწვებოდნენ „ვნების ტალღას აცურებდნენ, ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ. რენო კი თხელ მარმაშის ტანისამოსს იცვამდა, ვითა ცხელი სამხრეთის ასული. ეს ტანისამოსიც კი ნათლად ხატავდა მისი მშვენიერის სხეულის ხაზულობას, მაგრამ რენოს ამისთვის არავითარი ხერხი არ უხმარია და არ იცვამდა სამოსს „გვერდით ჩახეულსა“. თუ დემეტიკას „შავი თვალები“ „სხივს აფრქვევდნენ“, „სხვასა ეშხით სწვამდნენ“, რენოს „ლურჯი“ თვალი „მორცხვად მზერდა“. თუ დემეტიკა ფრიქსს თვალს არ აშორებდა და „ხან მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა“, ანა-და „მკერდ გაშლილი კაბუკს თრთოლვით დაეკონა“ რენოს სინაზითა და მორცხვობით „თავი მაღლა ვერ აელო, ემსჭვალოდა ტკბობის ალი“. თუ დემეტიკა ურცხვს და გაბედულ წინადადებას აძლევდა ფრიქსს, რენომ სინაზითა და კდემით აღსავსე სიტყვებით მიჰმართა: „ვინ შენი სევდა აწესა ჩანგი მიიღე, დამღერე, გთხოვ ააჟღერო აწესა“ და ბოლოს, როცა იასონის თანაგრძნობა დაინახა, უმაღლესი და უნეტარესი მგრძნობელობა გამოიჩინა, თავი მსხვერპლად შესწირა სიხარულით და კდემამოსილის თავგანწირულებით მიჯნურობის საკურთხეველზე

„იასონმა მიიზიდა, გულს მიიყრდნო მეფის ქალი
„რენომ ეშხით იწყო თრთოლა, ჰნებდებოდა ვნებით მთვრალი
„მიიწნიდა, მიილულა, მთლად წაერთო ცნობის ძალი“.

და განა „ქება-ქებათა“ კი ამგვარ ხორციელ სიყვარულს არ გვიგალობს და განა შეედრება მის ძალის სიმშვენიერეს და სიმაღლეს სხვაგვარი რომელიმე სიყვარული? განა „სულამითი“ კი ამგვარივე მგრძნობელობის ასული არ იყო და არის კიდევ უკეთესი მაგალითი სულით ლამაზის, სიმშვენიერით მომხიბლავის სატრფოისა?

ნეტარებით დამტკბარმა და გულგამაძღარმა იასონმა მოვალეობა გაიხსენა. გრძნობას ზურგი უქცია და რენოს მარტო ფიცი-ღა დაუტოვა საწინდრად, რომ არ დაივიწყებდა და მარადის ჟამს მისი ერთგული იქნებოდა... მაგრამ ამგვარის ფიცის ბოლო კარგად ვიცით. იასონის გული უკვე კოლხეთის მშვენიერის ასულის აჩრდილით არის შეპყრობილი და იქითკენ მიისწრაფვის მით უმეტეს, რომ საქმე და მეოჯახის მიზანი იქით იწვევს. რენო კი მშვიდად და წყნარად დაემორჩილება თავისს ბედსა. კარგადა გრძნობს, რომ მისი გრძნობის ხანი ერთი წუთი იყო, მაგრამ საუკუნო ტანჯვას თავგანწირულებით ელოდება, რაკი ამ წუთში განიცადა უმაღლესი ბედნიერი სიტკბო თვით და დაატკბო საყვარელი არსება. ეს მისთვის დიდი ჯილდოა. და შემდეგი ცხოვრება რენოსი მონოტონურია, თუმცა ღრმა პოეზიით აღსავსე: სამარადისო მოლოდინი სატრფოსი, დაუსრულებელი ცდა და იმედის სხივი, აი რა ასულდგმულებს მას და რა მომხიბვლელის ლექსებით გვიამბობს ამას ბ. შანშიაშვილი

„რენო ხშირად დილით მარტო
მაღალ კლდეზე ავიდოდის
„სულის ღელვით, სულის შფოთვით
ზღვასა ვრცელსა გასცქეროდის
. . . .
„დაიშლიდის ხან შავ ნაწნავს,
გულსაკლავად ხან მღეროდის
ატირებდის მთის ყვავილებს და
საბრალოდ თვით სტიროდის;
იტყოდის თუ: ბაღში გაველ, ტკბილო სატრფოვ, შენ გიცადე,
რა არ მოხველ—შენავლონდი, სევდა მწარე განვიცადე.
ყოფის[1] ნიავმა ოდნავ დამკრა,
თან მომიძღვნა შავი გლოვა,
შაშვმა ბუჩქში ჩაიკვნესა: აღარ მოვა, აღარ მოვა!
მოგიკრიფე მთის ყვავილი, თეთრ სპეტაკი, მონარნარე;
საუცხოვოდ კონად შევკარ, მისმან შუქმან მორთო არე;
მოლოდინში დასჭკნა იგი, ჰსურს ფურცელნი ჩამოჰყაროს
ვაჰ, თუ გულიც მის კვალს მიჰყვეს გლახ, ლოდინმა მისაპყაროს“.

რამდენი სინაზეა ამ მოლოდინში და რამდენი სევდა თავგანწირულებით აღსავსე, რაოდენი სიყვარულია და მოთმინება აქა და რაოდენი სიღრმე გრძნობისა. ერთად ერთი შურის ძიება, ერთად ერთი საყვედური რომელიც ამოხდება მისი გამწარებულის გულისაგან ეს სასოებით წარკვეთილი სინაზითა და სიწრფელით ძოქარგული ლექსია!

„ჰოი გედო, თეთრო გედო! გადაფრინდი უცხო მხარეს
იქა ნახავ გულის სატრფოს, მონავარდეს, მოელვარეს,
უთხარ თუ ვით სევდის ცეცხლი
მადრევინებს ცრემლსა ცხარეს“.

სწორეთ ამგვარ სიყვარულზედ არის ნათქვამი პავლე მოციქულის სიტყვები: „სიყვარული სულ-გრძელ არს და ტკბილ. სიყვარულსა არა ჰშურნ... არა ეძიებნ თვისსა, არა განჰრისხნის, ყოველსა თავს იდებნ; ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენ“. (კორინთ. I, 13).

III

გრძნობა სიყვარულისა მრავალფეროვანია ვით ცხოვრება და ბუნება, ვინაიდან სიყვარული საფუძველია ბუნებისა და სიცოცხლისა იგია დასაბამი ცხოვრებისა და მისი ძლევამოსილი განმაცხოველებელი. არის სიყვარული დემეტიკასი და რენოსი, მაგრამ არის სიყვარული ბევრად უფრო გაჰაეროვნებული, რაღაც არამიწიერი, არა ამ ქვეყნიერი, ისეთი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზეა, სააქაოსა და საიქიოს ზღვესთან არის. ეს ისეთი გრძნობაა, რომლის შესახებაც ბარათაშვილმა სთქვა „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავ გრძნობათა გამოთქმაო“ და იმგვარ სულის კვეთებად აღიარა, რომელიც ადამიანთა ჩვეულებრივ გრძნობისაგან სრულიად განსხვავდება. „ნუთუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა, სიყვარული სხვათაებრ“?-ო გვეკითხება იგი, და მართლაც სადაა ჩვეულებრივი რამ იქ, როდესაც ადამიანის გრძნობა იქამდის მიდის, რომ მზადაა გულწრფელის ლოცვით აღიაროს

„შევიშრობ ცრემლსა, ჰირთ მანელებელს,
გულსა დავიწყვავ დასანაცრებელს
და მისა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევჰსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“!

არ გამოპარვია ჩვენს ახალგაზდა მგოსანს ეს გრძნობა და იქ, სადაც დემეტიკას ვნება აშლილ მგრძნობელობას საოცარის ხელოვნებით დაგვიხატავს, სპეტაკისა და გაჰაეროვნებულის ტრფიალის მომჯადოებელ მშვენიერებასაც თვალწინ გადაგვიშლის. ამის მაგალითი ელესა და ფრიქსის სიყვარულია.

**„ვით უმანკო სულის ლოცვა,
ნაზი იყო მათი ტრფობა**[1]
„ვითა ცვილი მოციმციმე, ილხობოდა შუქზე გრძნობა
სურნელოვან ყვავილს კრეფდნენ და ერთმანეთს შუბლს უმკობდნენ,
ხან ტბის პირად წავიდოდნენ და მოკრეფდნენ ყვავილთ კონას
ხან იჭერდნენ ჭრელ პეპელას, სუსამბარის ერთგულ მონას,
თამაშობდნენ, ბურთაობდნენ, ზღაპრების თქმით ერთობოდნენ,
რომ ბულბული ჰანგს შესწყვეტდა, ისევ შინა ბრუნდებოდნენ.“

ამ ორ არსებათა სიყვარული რაღაც არა მიწიერია, რაღაც ანგელოზური და ზეციური, ეს სიყვარული ლოცვად ქცეული, იმდენად ნაზი და სპეტაკი გრძნობაა, იმდენად განწმენდილია ყოველივე მწიკვლისაგან, რომ არც კი გვეხამუშება ფრიქსისა და ელეს სიყვარული, თუმცა ეს ჩვენის რწმენისა და საუკუნეთა შორის გაჭედილი ფსიხო-ფიზიოლოგიურის მიდრეკილების შემბღალველია სწორედ მარტო ეს, რომ ჩვენ მოთ

---

*) „იხ. „სახ. გაზ.“ № 888

[1] აქ დასტამბული „ყოფის“ შეცდომა უნდა იყოს, ან „მთის“ უნდა იყოს ან სხვა რამე.

[1] ხაზი ჩვენ გვეკუთვნის.

ფილოქსერა სამუშაო იარაღის საშუალებით საშინლად ვრცელდება და სწორედ ამ რაიონის ვენახებს, სადაც უკვე ორგვარი ფილოქსერა აღმოჩნდა, დღიურ მუშით ამუშავებენ. ეს მუშები-კი თავიანთ ბარნიჩაფით კახეთის სოფლებიდან მოდიან. დაავადებულ ვენახები მუშაობის შემდეგ ამავე იარაღით თავის ვენახში ან სხვა სოფელში მიდიან სამუშაოდ და ამნაირად თელავიდან ბევრ სოფლის მამულში შეაქვთ ვაზის დაუძინებელი მტერი.

ფილოქსერა კახეთს მოედო და კახელნი მოუმზადებელი დახვდნენ, ნამეტნავად გლეხ-კაცობა. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ სოფლელს ფილოქსერის სახელი-კი გაუგონია, მაგრამ რა საშინელებას წარმოადგენს იგი ვაზისათვის, ნაკლებად იცის. ამ ბოლო წლებში სოფლის ბოლოებზე ბევრი ვენახი შენდება პლანტაჟით ე. ი. ორპირად დაბარული, მხოლოდ ისევ ჩვენებურ ვაზსა ჰყრიან, რომელიც, რასაკვირველია, ფილოქსერას ვერ გაუმკლავდება.

კახელ გლეხს რომ მართლა შესწავლული ჰქონდეს ამ სენის თვისება, მაშინ, სხვა არა იყოს რა, ახალ ვენახებს მაინც ამერიკულ ვაზზე გააშენებდა.

ამისათვის ეხლავე საჭიროა, სხვა და სხვა რადიკალურ ზომების გარდა, ინსტრუქტორთა რიცხვის გამრავლება კახეთში, რომ ყველა სოფელში, ყველა გლეხს რამდენჯერმე აუხსნან, განუმარტონ, დაარიგონ და შეასწავლონ კიდეც, თორემ აქ ჟამად მთელ კახეთ-ქიზიყში ერთად-ერთი ინსტრუქტორი ბ. მაქარაშვილი მუშაობს და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე ცხენის ზურგზე აკრავს და აქეთ-იქით დადის, მაინც სამი მაზრის თელავ-სიღნაღ-თიანეთის გაღმა-გამოღმა ნაწილებს ვერა სწვდება.

ფილოქსერისაგან წამოყენებული საკითხები-კი აუცილებელ სწრაფად თხოულობენ დაკმაყოფილებას, ვიდრე ჯერ-კიდევ გვიან არ არის.

დავიწყებული.

გრ. კანკავას „მცირე შენიშვნის“ გამო

„თემის“ 120 ნომერში ბ-ნი კანკავა შენიშვნას აძლევს გ. ი. გედევანიშვილს, რომ ის „სახალხო გაზეთის“ სააღდგომო ნომერში მოთავსებულ თავის ნაწარმოებს ასე იწყებს: „აღდგომის ღამეა. მთვარეს კაშკაში გააქვს, არე-მარე მთლად შეუვერცხლია“. შენიშვნის ავტორი ბრძანებს: „რამდენადაც ვუწყით აღდგომის ღამე ყოველთვის უმთვაროა და პატივცემულ ნიჭიერ მწერალს, შეცდომა შეპარვია, როგორც სჩანს, თავის ნაწარმოებში და სხვა...“ ამაზედ უნდა მოვახსენო ბ-ნ კანკავას შემდეგი: როგორც ვიცით სახელმძღვანელოებიდან აღდგომა თენდება არა ადრე 22 მარტისა და არა უგვიანეს 25 აპრილისა პირველ კვირა დღეს **გაზაფხულის მთვარის გავსების შემდეგ**, მაშასადამე, როდესაც მთვარე გაივსება, მაშინ კარგად ანათებს, თუმც გვიან ამოდის. ქალაქებში აღდგომა ღამეს ლიტანიობა და წირვა ეკლესიებში ღამის 2 საათზე თავდება და მაშინ მთვარე ამოუსვლელია, სოფლებში კი საზოგადოდ ღამის 12 საათზე ირეკება ზარები ეკლესიებზე და ღვთის მსახურება თავდება ნაშუაღამევის მესამე საათზე, როდესაც, თუ ცა მოწმენდილია, მთვარე ყოველთვის კაშკაშებს. მაგალითად წელს აღდგომა ღამეს ღამის მეორე საათიდან მთვარეც ამოვიდა და არემარეს მოჰფინა თავისი ვერცხლის მსგავსი სინათლე. ამის გამო ბ-ნი ი. გედევანიშვილი არ არის შემცდარი, როდესაც ზემოხსენებული სიტყვებით იწყებს თავისი მოთხრობის აწერას, რადგან **ნაშუაღამევსაც დილის 4—5 საათამდე ჩვენში ღამეს უწოდებენ.**

ლადო ბზვანელი.

უკანასკნელი პასუხი *)

ბ-ნმა არგუსმა „დილაში“ ამას წინად კიევის სტუდენტობის ერთ მოწინავე ჯგუფს ცილი დასწამა. მაშინვე დავამტკიცეთ სიმტყუნე ავტორისა და ვეკითხებოდით: ლოღიკა იცით რა არის თქო?

ბ. არგუსმა „გვიპასუხა“. ძველი მოთხრობის სიუჟეტი ეხლა პოემად დაუმუშავებია.

ლოღიკაზე ხელაღებულ ავტორს ვერაფერს დავაჯერებთ, მაგრამ მკითხველს კი გამოვესაუბრებით უკანასკნელად, გავშინჯავთ და დავამტკიცებთ, რომ ბ. არგუსის პოემა ცრუკლასიკურია, ყალბი სიუჟეტი აქვს.

ჩვენ ვამტკიცებდით: დასელებმა საკულტურო წრეში მონაწილეობა არ ინდომეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დაარსებული იყო-თქო.

რას ამბობს ბ. არგუსი, არღვევს ჩვენს ბრალდებას? ვერა, ვერ არღვევს. პირიქით იგი ადასტურებს ნათქვამს, ხოლო მიზეზიც მოჰყავს ერთად მუშაობის უარყოფისათვის ილანძღებოდითო.

ბ. ბ.! სხვა რამ მოიკითხეთ, თორემ ლანძღვა-გინებაში ყოველთვის პირველი ადგილი რომ გიჭირავთ, ყველგან გვჯობნით მაგ ხელობაში ეგ ცხადია. ვისაც ეჭვი რამე ჰქონდეს, ბ. არგუსის წერილი გადაიკითხოს და ლანძღვის ხელოვნებას ახლო გაიცნობს.

იქვე ერთი უცნაურობა აქვს ლირიკად გასაღებული: თქვენი სთქვითო, გვეუბნება ბ. არგუსი, პეტერბურგის პროლეტარიატმა „კ. ჩხეიძე დეპუტატად წამოაყენა იმიტომ, რომ მოწადინებულია ქართველი ერის დაჩაგვრასაო“. სიყალბის ჩადენაც კი არ შეგიძლიანთ ადამიანურად, ბ. არგუსო! განა ცხადი არ არის, რომ ზემოხსენებული ყოვლად ულოღიკო ფრაზა მხოლოდ და მხოლოდ არგუსებს შეუძლიანთ დასწერონ, თორემ სხვა ამ ზომამდე ვერ დაეცემიადა.

სათვისტ. გამგეობის არჩევნებისათვის წინასწარი კრება გქონდათ, სადაც გადასწყვიტეთ ერთი დასელი არ გაგეყვანათო და ერთმა თქვენმა პატიოსანმა ამხანაგმა იმავე კრებაზე დაჰგმო თქვენი განზრახვაო.

ბ. არგუსმა და მისმა ამხანაგებმა კარგად უწყიან, რომ ჩვენ იმათზე რამდენიმეჯერ მეტნი ვართ. მაშასადამე რასაც დავადგენდით, ავასრულებდით კიდევაც. წინასწარი კრება არა გვქონია, რადგან სათვისტ. პარტიობის წინაღმდეგნი ვართ. ან კი როგორ გავიდოდა გამგეობაში ერთი დასელი, თუ დადგენილება რამე გვქონოდა? განა ორს კანდიდატს (ერთი მათგანი გავიდა) დასელს ჩვენმა ამხანაგმა არ გაუწია რეკომენდაცია, განა ჩვენმა ამხანაგმა არ წამოაყენა მათი კანდიდატურა? მაგრამ ვინ ღაგიდევს ყველა ამასა, ვინ უგდებს სიმართლის ხმას ყურსა?!

რაც შეეხება პატიოსან ამხანაგის მიერ ჩვენს დაგმობას გამგეობის არ არსებულ საარჩევნო წინასწარ კრებაზე—ეგ თქვენგან შეთხზული ჭორია. იყო ლაპარაკი წრის მორიგ კრებაზე და თქვენ ჩვენი ამხანაგის ნათქვამი გადაასხვაფერეთ, იმოწმეთ კიდევაც, იმანა სთქვა, რომ წინასწარი კრება გქონდათო. მაგრამ ეხლა ხომ გამხილათ, ხომ პირში გითხრათ და აღნიშნა თქვენი სიცრუე ზემოხსენებულმა? ეხლა რაღას იტყვით?

რაკი შესტოპა, უკან აღარ იხევს ოპერის გმირი: როგორ გელაპარაკოთ სამართლიანობაზე, როდესაც საბიბლიოთეკო კომისიის არჩევნებზე „იმისთანა საუკეთესო სტუდენტი გააშავეთ, როგორიც არის ილ. თ—ძე“-ო?

აქ ხერხიანად, მაგრამ უადგილოდ ჩახხირულია სხვისი პიროვნება და ავტორსა ჰსურს ამის გარშემო ასტეხოს ლაპარაკი. ეს გარემოება მაინც ვერ დაგვიმალის სიმართლის თქმასა.

ბ. ილ. თ—ძე შეიძლება არგუსსა სჯობდეს, მაგრამ საბიბლიოთეკო კომისიისათვის საუკეთესო რომ იყვეს, ეგ კი ტყუილია.

„ვინ უნდა წაიკითხოს, რა საჭიროა წიგნთსაცავში ძველი მწერლობა: „არჩილიანი“, „ვეფხის-ტყაოსანი“, თეიმურაზი“ და სხვა. შეიძინეთ ახალი წიგნაკები (იგულისხმე მარქსისტული ბროშიურები), ყველაფერს სჯობსო“—გაცხარებით მიმტკიცებდნენ „საუკეთესო სტუდენტი“ და მისი ამხანაგი ერთს ლაპარაკში.

ბ-ნო არგუსებო! ვიდრე ჩვენ ვართ, ამას ვერ ვიზამთ, მაგრამ თუ როდისმე (ღმერთმა ნუ ჰქნას) წიგნთსაცავი თქვენს ხელში იყოს, განდევნეთ, დასწვით „ვეფხის-ტყაოსანი“ და მის ადგილას მარქსისტული ბროშიურები დაასვენეთ. ჯერჯერობით კი, უკაცრავად, თუ მაგას ვერ ჩაგადებინებთ და ხელს შეგიშლით.

არჩევნების დროს ზემოხსენებულ სტუდენტს არავინ იცნობდა, მაგრამ კარგად მოქცეულა კი კრება რომ მაგისთანა კაცი არ აურჩევია იმ საქმისათვის, რისთვისაც ვერ გამოდგება.

არგუსები პარტიობას ჩვენ გვაბრალებენ და თითონ კი სჭირთ ეგ სენი. ჩვენ რომ პარტიობა გვინდოდეს, არ დავმალავთ თქვენსავით და არც არავისი შეგვეშინდება. თქვენ კი სხვანაირად იქცევით: ძალიან „გესლიანად“ აღნიშნავთ სათვისტ. გამგეობა „ნაციონალისტებისაგან“ შესდგებაო და მხოლოდ ეს აჯავრებს და ბოლმას ურევს ავტორსა. საკვირველია, თუ პარტიობა არ გინდათ და ჰგმობთ, რატომ უწყრებით გამგეობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა ჯგუფს ეკუთვნიან?

აქ უნდა თავდებოდეს პირველი კარი ბ. არგუსის პოემისა. მაგრამ ერთმანეთში გადაურევია და სხვა რასმესაც ამბობს.

„განა ჩვენს დასამარცხებლად თქვენ არ შემოიკრიბეთ საუნგო დროშის ირგვლივ ისეთი პირები, რომელთაც თავიანთი ეროვნობის ჩიქორთული ქართულის მეტი არა შერჩენიათ რაო“, გვეკითხება ავტორი.

საბრალო ადამიანი!

ჯოხზე გადამჯდარა, ხის იარაღი აუსხამს და „ძლევამოსილად“ გვესაუბრება „დამარცხებულებს“. იმასა ჰგონია, სულ მათი დამარცხებისათვის ვემზადებით, სხვა საქმე არა გვაქვსრა: ვინა ხართ, რას წარმოადგენთ, რა ძალა გაქვთ, რომ თქვენი გულისათვის დროშა ავმართოთ? მოდი და ნუ გაგეცინება!

პირველ ნაწილში მხოლოდ ერთი სიმართლეა—დასელთა რიცხვის შესახებ გამგეობაში იყო ჩვენი შეცდომა და სხვა არაფერი. მაგრამ განა იქიდან არა სჩანს რანაირად ერეკება ცხოვრება დასელებს ყველა ასპარეზიდან? შემდეგ იწყება მეორე კარი სალირიკო პოემისა.

ეს რომ წავიკითხე, უნებურად დ. მერეჟკოვსკის ერთი ლექსი მომაგონდა. დადის სიკვდილი, დამრწის და მუსრს ავლებს ყველაფერს თავისი ცელითა. ბოლოს შეეყრება სისულელეს. მოუქნევს სიკვდილი ცელს, მაგრამ ააცდენს. სისულელე მოახტება კისერზე სიკვდილს, აჩუო, უძახის და მღერის.

გვისაყვედურებს, რატომ არ აღნიშნეთ ქართულ საღამოზე მომხდარი ინციდენტიო და იწყებს ჩვეულებრივ იწილო-ბიწილოს; რექტორს მამულიშვილებმა სცეს პატივიო.

ჩვენ პირიქით შევეკითხებით: რატომ არ აღნიშნეთ ბ-ნო არგუსო თქვენს კორესპონდენციაში? ჩვენ მიზეზი გვქონდა: არც სათვისტომოს, არც რუსის მოწინავე სტუდენტობას ამის გამო ჯერ არა დაედგინა რა. თქვენ რაღას უცდიდით? დარწმუნებულნი ვიყავით, „ნაციონალისტები“ არ აღნიშნავდნენ მომხდარ ამბავსაო, სწერთ. თუ დარწმუნებული იყავით, მაშ ცდა მეტი იყო.

ბ. არგუსი კიდევ იმეორებს საზიზღარ ბრალდებას: მამულიშვილნი რექტორთან შამპანიურსა ჰსვამდნენ და მრავალჟამიერიც შეაწიესო.

ბ.ბ.! ნუ გეშინიანთ, ამოხმით დაილაპარაკეთ. ჩვენ მოვითხოვთ დაასახელოთ, ვინ იყო ის მამულიშვილი, რომელიც რექტორთან იჯდა, მოვითხოვთ დაასახელოთ, რომელი იყო მრავალჟამიერი რომ შეაწია, დაასახელეთ აგრეთვე ლოტბარიც და ვნახავთ—ვინ არიან დამნაშავენი, აქვთ თუ არა მამულიშვილობასთან რაიმე კავშირი გარდა გვარტომობისა!

თუ ამას არ იზამთ და არ დაამტკიცებთ ზემოხსენებულ პირთა მამულიშვილობას, ნება მოგვეცით გიწოდოთ ის სახელი, რის ღირსიც მაშინ იქნებით.

ჩვენ ვამტკიცებთ: საბალო კომისიაში, უნივერსანტების მხრით, ჩვენი მიმართულების არავინ ყოფილა, გარდა გამგეობის წარმომადგენელისა, რომელიც მხოლოდ გამგეობის სურვილებს გადასცემდა და არჩეული თავის დღეში არა ყოფილა.

გეგეჭკორის საწინააღმდეგო პროტესტის ხელის მოწერა შეეძლო ყველას, ვისაც მისი ჩვენდამი ცილისწამება არასაკადრისად მიაჩნდა, შეეძლოთ დაეგმოთ მისი საქციელი თვით მის ამხანაგებსაც, რადგან აქ საპრინციპო არა ყოფილა რა, იყო მხოლოდ ცილისწამება. საბ. კომ. **ორი** კაცი იყო, რომელთაც ხელი ჰქონდა მოწერილი ერთი თანაუგრძნობს რუსეთის ერთ მემარცხენე პარტიას, მეორე თავს პროგრესისტს უწოდებს. ნუ თუ ყველაფრის ახსნა-განმარტება გჭირიათ ბავშვებისავით? რა საჭიროა აქ მამულიშვილობის დიპლომის ხსენება, ლირიკული მოთქმა?

კორესპონდენტი ვითომ გვლანძღავს და გაბოროტებით გვეუბნება: „ქართლოსის ძენო“ შერცხვითო. სიტყვა ქართველი სალანძღავ სიტყვად მიგაჩნიათ? ნეტა გვამცნობდეთ, რა ქვეყნიდან მოფრენილხართ, რით გასწყრომიხართ ეგრე ჩვენს ერსა?

არგუსის პოემაში ეპილოგად მოყვანილია ციტატა სათვ. გამგ. ოქმიდან. უნდა ვსთქვათ, რომ მთელს თავის წერილში ავტორს წამლად **ერთი ციტატაც არა აქვს სწორედ მოყვანილი**. სხვებს მნიშვნელობა არა აქვს, ერთზე შევჩერდეთ.

არგუსი ციტატას ისე გადასცემს თითქოს სათვ. გამგეობას თავს ედვას საღამოზე მომხდარი ამბავის დანაშაულის ნაწილი. ეს სიცრუეა. გამგეობა სწუხდა, როგორც ყოველი შეგნებული ქართველი, რომ ხელი ვერ შეუშალა მომხდარ ამბავს და სხვა არაფერი.

ბოლოს, აღნიშნავს რა ამ ამბავს, ავტორი, ასე ლაპარაკობს: „კიევში დასელების შიშით ასეთ სიყალბეს ვერა ჰბედავენ (ე. ი. ჩვენ) და თვითონაც იზიარებენ დანაშაულსაო“.

უბადრუკი ადამიანი!

განდიდების მანიით უნდა იყოს შეპყრობილი. იმასა ჰგონია, თუ რასმე კარგს ვჩადივართ, თუ დემოკრატები ვართ, მხოლოდ და მხოლოდ დასელების შიშით, თორემ გულში სულ სხვა გვიძევს. ეჰ, მახლას! ელაპარაკეთ ამისთანა ბრძენს.

ბოლოს უნდა დავსძინოთ: ეს პასუხი უკანასკნელია ამ საქმის თაობაზე. „კაცია და გუნებაო“, იტყვიან, ბ. არგუსსაც შესაფერი ხელობა აურჩევია—მოწინააღმდეგის ცილისწამება და რადგან უკვე ყველა შეეჩვია ამასა—აღარც ყურადღებას მივაქცევთ.

ქ. რაჭველიშვილი.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

„ფეოდალობის“ მოსარჩლედ ილია (ჭავჭავაძე. კ. ა.) არასოდეს არ გამოსულა და მის ზოგიერთ, ეროვნულ და საზოგადოებრივ ხასიათის წერილებს („აი ისტორია“) დიდი მნიშვნელობა და ღირსება ეხლაც [illegible]კარგავთ.

◆

ეროვნული მისწრაფება უნდა იყოს გადაწნული ხალხის მატერიალურ ინტერესებთან ერთად.

◆

ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვად გადაიქცა გამორკვევა იმისა, თუ რა გზას უნდა ადგეს ჩვენი ახალგაზდობა.

◆

მესამოცე წლები... წყაროა ჩვენის კულტურისა და წარმატებისა.

◆

მესამოცე წლების მოღვაწენი მარტო „სამშობლოს“ არ დაჰქდეროდნენ. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით. სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებაში ჩვენს მწერლობაში.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება.

ამ დღეებში ინგლისისა და ოსმალეთის წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომლის მთავარი მუხლებიც შემდეგს შეიცავს:

1) ოსმალეთის მთავრობა აღიარებს ინგლისის პროტექტორატს კოვეიტის ოლქზე სუვერენიტეტობის დაცვით;

2) ინგლისს უფლება ეძლევა ბასორა-კოვეიტის რკინის გზის გაყვანისა;

3) ბასორა უკანასკნელი პუნქტია ამ რკინის გზისა;

4) ბაღდადის რკ. გზის გამგეობაში შედის ორი ინგლისელი, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს გამგეობის მოქმედებას. კერძოდ, ინგლისის ეს წარმომადგენლები ზედამხედველობასაც იკისრებენ, რათა ბრიტანეთის საქონელი ისევე თავისუფლად მოძრაობდეს გზაზე, როგორც გერმანელებისა.

გარდა ამისა შეთანხმებაში ნახსენები იქნება: ეგვიპტის ფინანსური დამოუკიდებლობა სულთნისაგან, ოსმალეთის ჯარის გაყვანა ურმიის ოლქიდან, 30.000.000 მან. სესხის აღება ინგლისისაგან რეფორმების შემოსაღებად სირიასა და სომხეთში; აგრეთვე განსაკუთრებული უფლება ინგლისისა შატ-ელ-არაბის ოლქში ბუნების სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ.

გერმანიის პროტესტი.

სტამბოლიდან იუწყებიან: გერმანიის ელჩმა ვანგენგეიმმა პროტესტი განუცხადა ოსმალეთის მთავრობას ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლების შესახებ განსაკუთრებით კი იმ მუხლებისა, რომელნიც ბაღდადის რკ. გზასა და კოვეიტის ოლქს შეეხებიან. დიდმა ვეზირმა დაამშვიდა ელჩი და აუხსნა, რომ ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულობის დადებით მთავრობას სრულიადაც არ ჰქონია განზრახვა, რომ გერმანიის ინტერესებისთვის რაიმე ზიანი მიეყენებინაო.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, გერმანიის ნაციონალისტური პრესა განსაკუთრებული სიბრაზით აღნიშნავს, რომ ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულობაში გათვალისწინებულია რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესები, როგორც, მაგ., ურმიიდინ ჯარის გაყვანა და სირია-მესოპოტამიაში საფრანგეთის უპირატესობანი, მხოლოდ გერმანია დარჩა განაპირებულიო. გაზეთები ურჩევენ რეიჰსტაგს, მოსთხოვოს მთავრობას განმარტება, თუ რა სახით მიიღებს გერმანია შესაფერ საზღაურს.

ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება.

ბერლინს მივიდა ინგლისის წარმომადგენელი, ლორდი მორლეი, რომელსაც მიზნად აქვს გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვა ბაღდადის რკ. გზისა და კოვეიტის ოლქის საკითხის თაობაზე. მორლეი ერთს თვემდე დარჩება ბერლინში. ამბობენ, რომ მას მინიჭებული აქვს ფართო უფლება ინგლისისა და გერმანიის შორის შეთანხმების დასამყარებლად ახალშენთა საკითხში.

არეულობა მცირე აზიაში.

სტამბოლიდან იტყობინებიან; კონიისა და კოსტამუნის ოლქებში დიდი არეულობაა. ადგილობრივი მცხოვრებნი წინააღმდეგობას უწევენ სამხედრო ბეგარის მოხდას და აცხადებენ, რომ ისედაც დიდი მსხვერპლი შევსწირეთ უაზრო ომსაო. ახალგაზდათა ჯარში გასაწვევად მისული სამი მოხელე მეამბოხეებმა მოჰკლეს. რადგან კონიის ოლქში ევროპიელ სახელმწიფოთაგან მხოლოდ რუსეთსა ჰყავს თავისი წარმომადგენელი, ჰფიქრობენ, რომ საქმის გამოსაკვლევად სმირნიდან გაგზავნიან ევროპის სახელმწიფოთა კონსულებსაო.

მინებით ვიღებთ ამ კავშირის აღწერილებას, საუკეთესო საბუთია იმისი, რა ხელოვნურად აქვს აღწერილი მგოსანს ის წმიდა გრძნობა, რომელიც ასულდგმულებდა ფრიქსს ელეს მიმართ: „და ჰმონებდა, შეჰხაროდა, მას ცათამდი ამაღლებდა“. ა. შანშიაშვილმა ვიმეორებ ამ პოემით დიდი მგოსნის ნიჭი გვაჩვენა, ისე შეაქსოვა და შეადუღა იდეა და ფორმა, შინაარსი და სამოსელი, თვით ხელოვნებით ისეთის მოხდენილობით, რომ თითქმის პოეზიის იდეალი განახორციელა. ეს არ იკმარა და უხვად გააბნია თავის ახალ ქმნილებაში ღრმა ფილოსოფიური აზრები, მწარე სევდით აღსავსენი და თანაც სტოიკურის მოთმინების მაჩვენებელნი.

კოლხეთის ბედი მას ნიადაგ თვალწინ უდგას და ეს ბედი უკარნახებს მას მთელ ფილოსოფიას მწარესა და იმავე დროს გამამხნევებელს, გულის მომწყველსა და მასთან სანუგეშოს, სასოების წამწყმედს და თანვე იმედის აღმძვრელს.

„აღსდგება ძველი დიდება, ფენიქსებრ შეიფრთხიალებს
კვლავ დაეცემა ანაზდათ, რისხვა თავს დაიგრიალებს
ხალხი წავა და წამოვა, სიტკბო-სიმწარით იამებს;
იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს.

იქ მთელი ფილოსოფიაა ისტორიის და სოციოლოგიისა სამარადისო ცვლილება, საუკუნო ტრიალი ცხოვრებისა და ისტორიის მოვლენისა. „აღსდგება ძველი დიდება... კვლავ დაეცემა ანაზდათ... იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს“. თუ გულის მომკვლელია ის მოვლენა, რომ ყოველი დიდება, ყოველი ძლიერება წარმავალია ვით ოცნება, საიმედოა ის, რომ ძველი დიდება კვლავ აღდგება, კვლავ განახლდება. არა ნაკლების სიმწვით არის აღვსილი მგოსნის შეხედულება კერძო ინდივიდუალურ ცხოვრების შესახებ, მაგრამ უსაზღვრო უიმედობისა და უსასოებას არც აქა აქვს ადგილი.

„ადამი წამით მოსულა, კვლავ მიწას მიებარება
სიზმარი არის სიცოცხლე, მიჰქრის და მიეჩქარება
„შავ ლანდსა დავიწყებისას თვით ხსოვნა მიეფარება,
სიკვდილი ცივი, უნდობი ჯალათად დაიარება“

ეს ყოველივე ასეა და ეს თითქმის სტერეოტიპის ფრაზები მგოსნის ხელში, რაღაც ახალ ძალას იკრებს და ეპიკურის სიდიადით იმოსება ჩვენს თვალში. უსაშინელესი რამ არის, როდესაც თვით ხსოვნა კაცისა, შავ ლანდს მიეფარება, მაგრამ ქართველი მგოსანი, რუსთველის ერის შვილი, აქ ვერ შეჩერდება და გამამხნევებელ, წამახალისებელ სიტყვებსაც იქვე შემოგვძახებს.

„მხოლოდ არ კვდება სახელი, მაღლა ზეცამდი ასული
მასშია მარადისობა: აწმყო და დიდი წარსული“.

და ეს საერთო პირადობისა და საზოგადოებისათვის, მთელის ერისა და კერძო ინდივიდუმისათვის უკვდავი სახელი, ცათამდი საღალადებელი საუკუნო შარავანდედით ამკობს ყველას, ვინაიდან

„მასშია მარადისობა: აწმყო და დიდი წარსული“

ამ ორმაგის განწყობილების გამომხატველია თითქმის ყოველივე ლირიული ადგილები პოემისა. ამ მხრით პირდაპირ საუცხოო რამ არის (რაც უკვე აღნიშნა კიდევაც „სახალხო გაზეთში“ ბ. ალ. წერეთელმა) მისი განმარტება ცრემლისა და ტირილისა.

ცრემლი ხან ტკბილია და ხან მწარე, ტირილი ხან მხიარულების გამომხატველია, ხან ვაებისა და კვნესის.

„ეჰა ცრემლო, რა ტკბილი ხარ, როდეს ისმენ გულის ფრთხიალს,
ეჰა, ცრემლო, რა მწარე ხარ, როს ეცემი მკერდზე ტრფიალს
. . . .
შენში ვპოვებთ სულის შვებას,
შენითვე ვსვამთ შხამის ფიალს“

ეს ხომ ცრემლი და ეხლა ტირილიც რაც თითქმის ერთიდა იგივეა, მაგრამ ცრემლი ხომ ხანდისხან სიცილსაც თან ახლავს.

„ვსტირით, ოდეს ვიბადებით, ვსტირით მეტის სიხარულით,
ვსტირით, ოდეს ყრმა—ქაბუკნი ვიმსჭვალებით სიყვარულით,
ვსტირით ოდეს საფლავს სჭრიან,
ვსტირით სევდით დაფარულით“

ამგვარად მგოსნის ფილოსოფიური შეხედულება მსოფლიოსა და ადამიანის ცხოვრების შესახებ სრულიად მეცნიერულია და სადის სინამდვილის ნიადაგს არა შორდება; მან კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ცრემლი და სიცილი განუყრელია, კარგად იცის, რომ ტირილი და სიხარული ერთად შედუღებულია, იცის, რომ ცხოვრებაში ყოველივე წარმავალია, იცის, რომ „აღსდგება ძველი დიდება... კვლავ დაეცემა ანაზდათ“, იცის, რომ „იქ შიში დაემკვიდრება, სად ძლევის დროშა ფრიალებს“, და ამნაირად ცხოვრების მოვლენათა სიღრმე-სიგანე, მისი მწარე-სიტკბოება და მისი ძირ-ტკბილი სიმწვავე მგოსანს სავსებითა აქვს შეგნებული. ცალმხრივად ნაღვლიანი, ცალმხრივად მოკისკისე მუზა მას აღარ ეპრიანება, თუ მას ერთის მხრით

„დღეს ნეკტარს მუზა აპკურებს,
თვითვე სიავეს ჩვეული
უკვდავსა ნანას უგალობს, სინარნარითა რხეული“

მეორეს მხრით კოლხიდის ბედით გულ განგმირული „მედეა **ცრემლსა ინახავს** აწ გულის დამწყლულებელსა“ და მისი ლექსის „სევდის კილოს, ნაღვლიანსა“ აღტაცებაში მოვყევართ.

რაღაც სიმბოლიური აზრითაა გაჟღენთილი მგოსნის გოდება კოლხეთის ბედისა დ მედეას უბედურების გამო.

„ოჰ, ჩემო ჩანგო, კვლავ კოლხეთს ხმატკბილად ვუძღვნათ სალამი
„მოისპო მისი დიდება და ბაირაღი-ალამი
„მშვენიერ წალკოტს ვერ ვხედავ, ვენახში ლპება წალამი
„ვარდისა ნაცვლად მოგვიძღვნეს ტიალ ნარ-ეკლის თალამი
„ოქროს ტყავს ვჩივი—ნატვრის თვალს, ერისა გამხარებელსა
„სიმდიდრის წყაროს უშრეტსა და სევდის გამქარვებელსა
„მედიას ცრემლსა ვინახავ აწ გულის დამწყლულებელსა“
„სხვას ვერვის ვხედავ დოსტაქარს, იარის გამკურნებელსა“.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ „მედიას ცრემლი სევდის კილოს აძლევს მგოსნის ლირის გამცემელ ხმებს, მაგრამ ეგ არ არის მორჩილებისა და სასოწარკვეთილების ცრემლები, ეგ შურის ძიების სურვილით აღსავსე ცრემლებია, რომელიც ბრძოლას ითხოვს მოღალატის დასასჯელად და თავის სახელის დასაფარავად

იმიტომაც არის, რომ მგოსანი პოემის შესავალში მედიას ნამოქმედარის ქება-დიდებას გვპირდება, მის სიამაყესა და გაბედულებას აღფრთოვანებით იხსენიებს

„მსურს—ერთხელ კიდევ დავმღერო, ქალი შევაქო მედეა;
„სისხლის ფერებით შევამკო ამაყის განაბედია
„ხოლო იაზონს ვანანო, ვაგლოვო წანახედია,
„ძველ ცოდვის ნაყოფს მოვიმკით, ჩვენი მსაჯული ბედია.

(შემდეგი იქნება)

კატო ბაბაშიძე.

---

*) ეს წერილი ყველა დასელ. არ ეხება. ქ. რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის ავტონომია.

სომხების კომიტეტმა გადასწყვიტა მიმართოს ელჩთა ლონდონის კონფერენციას, რათა მან ავტონომია შემოაღებინოს ოსმალეთის მთავრობას დიარბექირისა, ვანისა, ბითლისისა, ხივისისა, ხარფუთისა და აზრუმის ოლქებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ; ამასთანავე ავტონომია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროპის დიდი სახელმწიფოებისაგან. მაგრამ, რადგან ევროპის სახელმწიფოთა შორის არაოდეს არა ყოფილა ერთსულოვნება, რის გამოც ფერხდებოდა რეფორმების განხორციელება ხსენებულ ოლქებში, კომიტეტი თხოულობს, რომ ავტონომიის კონტროლი ერთს, რომელიმე სახელმწიფოს დაევალოს.

სასამართლო

ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში, წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, დაიწყო განხილვა პოლიტიკურ საქმისა. სამართალში მიცემული იყვნენ: „მასწავლებელთა საზოგადოების" მასწავლებელი ქალები ე. სტასოვისა და ა. ოვიანი, უმაღლეს კურსების მსმენელი ქალი ვ. შვეიცერი, სტუდენტი-ჟურნალისტი ს. სპანდარიანი, თერძი ხაჩატურიანცი და ასოთ-ამწყობი ოგანესიანცი. ისინი სამართალში იყვნენ მიცემული კან. დებ. 102 მუხ. 1 ნაწ. ძალით. მათ ბრალდებოდათ ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. სასამართლომ დაადგინა, საბრალმდებლო ოქმი და აგრეთვე ბრალმდებელისა და დამცველების კამათი ხალხის დაუსწრებლად მომხდარიყო. დანარჩენს დროს კი ხალხს დასწრება შეეძლო. საქმის განხილვა გაგრძელდა სამს დღეს. შაბათს, 4 აპრილს, სალამოს 8 საათზე. კამათი დასრულდა და სასამართლო სათათბიროდ გავიდა. სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული ნერსეს ოგანესიანცი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა, დანარჩენნი კი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა: ყოველი ღირსების ჩამორთმევა და სამუდამო გადასახლება.

თავ. გელოვანის საქმე.

თავ. გელოვანს ტფილისის სასამართლო პალატისაგან, იარაღის შენახვისათვის და ს.-დ. პარტიის წევრობისათვის და აგიტაციისათვის მისჯილი ჰქონდა ღირსების ჩამორთმევა და სამუდამო გადასახლება. სასამართლოში დამცველმა მოითხოვა, გაერკვიათ თუ რაში გამოიხატა ეს აგიტაცია. პალატამ ამაზე უპასუხა, „კითხვები დასმულია საბრალმდებლო ოქმის და წინასწარ გამოძიების მიხედვით და პალატის საგანგებო საკრებულო თავის მხრით ვერავითარ ახალ კითხვებს ვერ გამოიგონებსო. ეს განაჩენი გელოვანის დამცველმა ნაფ. ვექ. **სოკოლოვსკიმ** სენატში განასაჩივრა. საჩივარში იგი ითხოვდა განაჩენის გაუქმებას იმის მიხედვით, რომ საგანგებო საკრებულოს სხდომაში მონაწილეობას იღებდა სოფლის მამასახლისი კოვალჩიკი, არა როგორც არჩეული პირი, არამედ თავის მთავრობის მიერ „გაგზავნილი". 25 აპრილს სენატმა განიხილა ეს საჩივარი, პალატის განაჩენი გააუქმა და საქმე კვლავ დააბრუნა ტფილისის პალატაში ახალი შემადგენლობით განსახილველად.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 მაისი.

უცხოეთი.

რომი. სტეფანის სააგენტოს რომიდან ატყობინებენ: გენერალ მამბრეტის რაზმს ორჯერ მოუხდა ფიცხელი ბრძოლა ზანგებთან, პატრუბის მახლობლად. ორივე მხრის დანაკლისი საგრძნობია.

ნიუ-იორკი. ბულვილეს მაღაროში (ოგაიოს შტატი) აფეთქებისაგან 16 მუშა დაიღუპა.

ბერლინი. მორლეი ლონდონში წავიდა.

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დასაჯოს ჩანჩუნში შეპყრობილი ჩინელნი, რათა შეაჩეროს იაპონელთა ფირმის—მიცუის ბოიკოტი.

ბუქარესტი. ლიბერალებმა გადასწყვიტეს, არ შეიტანონ რუმინია-ბულგარეთის დავის თაობაზე შეკითხვა, ვიდრე კონფერენციის დადგენილებანი არ გამოქვეყნდება. პრესა მოელის კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც სილისტრია რუმინიას უნდა შეუერთდეს. გაზეთები რუმინიის დიპლომატიის გამარჯვებას აღნიშნავენ. ბრაილოვის მიტინგზე გაფიცულ მკერვალთ მიემხრო ყველა მუშა. გაფიცულნი არიან გალატასა და სულინში.

პრაგა. ახალგაზრდა ჩეხელთა პარტიამ დაადგინა, არ მიემხროს სხვა პარტიათა საოპოზიციო თვალსაზრისს.

სტამბოლი. იტალიის საელჩოს პორტასთვის ბულგარეთის მოთხოვნილება წარუდგენია, შეაჩეროს ალბანეთიდან ესად-ფაშისა და ჯავიდფაშის ჯარის გაწვევა.

დეპუტატად ნამყოფი ლუტფიფიტლი-ბეი დააპატიმრეს და სამხედრო სამართალში მისცეს. მას აბრალებენ გაზეთში თავის საუბრის გამოქვეყნებას, სადაც აწინდელი მდგომარეობა ფრიად სახიფათოდ არის აღიარებული და ახალ კაბინეტის შედგენას მოითხოვს.

იტყობინებიან, რომ ახმუდ-აშუკმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის წერილის გამო, ენვერ-ბეი გაანთავისუფლაო.

პარიზი. ტულონში გამართულ მანიფესტაციის მონაწილე 20 კაცი შეიპყრეს. ისინი ჯარში პროკლამაციებს ავრცელებდნენ და სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ.

ლონდონი. სომეხთა დეპუტაცია რუსეთის საელჩოში იყო. დეპუტაციამ დეპეშით მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს.

პარიზი. „ტან"-ის ცნობით, სამთა კავშირის სახელმწიფოებმა გამოსთქვეს სურვილი, საფინანსო კონფერენციაზე მეომართა წარმომადგენლებს მხოლოდ სათათბირო ხმები ჰქონდეთო. ამ სურვილს ოსმალეთი მიიღებს, მაგრამ შეიძლება მოკავშირეთა უთანხმოება გამოიწვიოს მანო. „ტან"-ის სიტყვით, ამ პოზიციას დასძლევს სამთა კავშირი, მაგრამ მოკავშირეებმა თავს არ უნდა იდვან კონფერენციის გადაწყვეტილების პასუხის მგებლობა; კონფერენციის მიზანი მაშინ იქნება, არა გადაწყვეტა საკითხებისა, არამედ მათი კვლევა-ძიება.

ბელგრადი. „სამოუპრავა"-ს მოჰყავს ელჩთა კონფერენციის დადგენილება—მიეცეს სერბიას, ალბანეთის ტერიტორიით, ადრიატის ზღვისკენ საკომერციო გასავალი. გაზეთი დასძენს: ეს დადგენილება უნდა განხორციელდეს, რათა საერთაშორისო ხელშეკრულებაში შევიდეს. სერბიის დელეგატს დაევალა ნათლად წამოაყენოს სერბიის სურვილი.

რომი. „კორიერე-დელა-სერა" სინანულს გამოსთქვამს, რომ გულწრფელ იტალიასთან კავშირის უუგულწრფელესი მომხრენი კი, როგორიც არის კლემანსო, საბერძნეთის მომხრენი არიან და გვერდს უხვევენ იტალიის სამართლიან მოთხოვნილებას, ოტრანტის სრუტეს თავისუფლებას. საფრანგეთის ამგვარი მოქმედება არღვევს ევროპის მთლიანობას და საერთაშორისო მშვიდობიანობასო.

დერნა. სამ მაისის ბრძოლაში იტალიელებს მოუკლეს 7 ოფიცერი და 72 ჯარის კაცი; დაუჭრეს 29 ოფიცერი და 250 ჯარის კაცი.

ბენგაზი. 3 მაისს გენერალ ტასონის რაზმი შეეტაკა ბედუინების რაზმს. მოპირდაპირე იტალიელებმა უკუაქციეს, რის შემდეგაც დაიჭირეს მდინარე სირის ველი, მეორე დღეს იტალიელებმა უომრად დაიჭირეს ელონტი.

რუსეთი.

სიბირსკი. სოფელ ნოვო-დევიჩში სენგილეევის მაზრაში, ცეცხლისგან განადგურდა 1.000 სახლი. ბევრი ხალხი უსახლ-კაროდ დარჩა. მათი მდგომარეობა აუტანელია.

პეტერბურგი. გაზეთებში ხმები გავრცელდა, ვითომც ანტიოქიის პატრიარქმა დაბეჯითებითის თხოვნით, სხვა და სხვა მიზეზების გამო, პეტერბურგი მიატოვაო. სინოდის ობერ-პროკურის კანცელარია იუწყება, რომ ამგვარი ხმები სიმართლეს არის მოკლებულიო.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ხუთშაბათს, 9 მაისს, ქართულ სახალხო წარმ. მმართველი წრე გამართავს სალამოს განსვენებულ დრამატურგის, **გაბრიელ სუნდუკიანცის** სახსოვრად. წარმოდგენილი იქნება მისი ცნობილი კომედია „პეპო", რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურ. მსახ. **ვ. გამყრელიძე** და **კ. ყიფიანი.** ადგილების ფასი სახალხოა.

18 მაისს წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა".

სპორტი

დოღი.

კვირას, 5 მაისს, საზაფხულო ჯირითობის მეექვსე დღე იყო. მშვენიერი ამინდის გამო საჯირითო მოედანზე აურაცხელი ხალხი შეიკრიბა. სულ ექვსი გაჯიბრება იყო.

პირველ გაქენებაში მონაწილეობა მიიღო სამმა ცხენმა: თავ. მხეიძის „ნიტუშმა", იედიგაროვის „ოიამამ" და ლიუქსის „კვიტ"-მა. თავიდანვე წინ „კვიტი" მიდიოდა, მაგრამ პირველ მოსახვევში მას წინ გაუსწრო „ოიამამ" შემდეგ კი „ნიტუშმა" მესამე მოსახვევში „ნიტუშმა" ყველას გაასწრო. და აიღო ჯილდო 214 მანეთი, ორი ვერსის მანძილი მან 2 წუთს და 31 წამის განმავლობაში გაირბინა.

მეორე გაქენებაში მონაწილეობას იღებდა სამი ცხენი: ვ. ყაზბეგის „მალატესტა", ძმ. სულთან-გირეების „შარმეზი" და ნ. ლიუქსის „ჟარნაკი". თავიდანვე წინ „შარმეზი" წავიდა და ბოლოს პირველი იყო. 2 წუთ. და 26 წამის განმავლობაში გაირბინა ორი ვერსი. აიღო ჯილდო 357 მან. მას მოჰყვა „მალატესტა" და ბოლოს კი იყო „ჟარნაკი".

მესამე შეჯიბრებაში გაქენდნენ თავ. მხეიძის „დოროტეია", ენიკოლოპოვის „ვოლტა" ნ. ლიუქსის „აპროპო" და ხან-ნახიჩევნელის „პონდორა". თავდაპირველად ყველანი ჯგუფად მიდიოდნენ, მაგრამ შემდეგ „აპროპო" დაწინაურდა და გაიმარჯვა. მეორე მოვიდა „დოროტეია" და მესამე „ვოლტა".

მეოთხე გაქენებაში მონაწილეობა ხუთ ცხენს უნდა მიეღო, მაგრამ თავ. მხეიძის „პატრიცი" და ნ. ლიუქსის „ჟარნაკი" არ გაუშვეს და გაქენდნენ: ძმ. გირეებს „გელლა" თავ. ქობულაშვილის „შელმა" და ს. გირეების „შაგმარი". სტარტიდანვე „შაგმარი" დაწინაურდა და პირველი მოვიდა, მან გაიარა 2 ვერსი და 144 საჟ. მანძილი. 2 წუთ. და 30 ნახ. წამში. მეორე იყო „გელლა". „შელმა" ჩამორჩა.

მეხუთე გაჯიბრებაში მონაწილეობდა ოთხი ცხენი: ბ. ვესელოვსკის „კრანაზე" თავ. ქობულაშვილის „ლიუნა", სტეცკევიჩის „სკოტლა" და ვოზნესენსკის „ტოსკა". „ლიუნა" და „ტოსკა" ჩამორჩნენ; წინ მიდიოდნენ „კრანეზი" და „სკოტლა". პირველი ბოლომდის სკოტლა იყო. მაგრამ ფინიშთან „კრანეზის" მხედარმა ცხენი უეცრად წინ გაახტუნა და „სკოტლას" ცხენის თავით აჯობა.

უკანასკნელ შეჯიბრებაში თავად ანდრონიკაშვილს არ დართეს ნება „სკოტლაზე" გაქენებულიყო, რადგან მან ამ ცხენით უკვე ხუთი ჯილდო აიღო. ამ შეჯიბრებაში ვოზნესენსკის „გიბრალტარზე" იჯდა ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურე ლიპცეროვი, რომელმაც ყველას აჯობა და პირველი ჯილდო მიიღო. მეორე იყო ნ. ყაზბეგი „ნირვანათი", მესამე—„კარმენჩიტას" მხედარი ხან-ნახიჩევნელი.

წერილი რედ. მიმართ

19 აპრილს 1913 წ. ქართველ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების ჰრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ ქართულ თეატრში გამართული იყო დრამატიულ—მუსიკალური სალამო, რომლიდანაც შემოვიდა:

ბილეთების გასყიდვით 408 მან. და 50 კაპ., ბუფეტიდან და ყვავილების გასყიდვით—56 მან. 25 კაპ., პრემიებათ მიიღო საზოგადოებამ კნ. ან. ბარათაშვილისაგან—5 მ., ქალბ. ფარსადანოვისაგან—3 მ., მეუსიკე ვიქტ. ვილმაუსგან—10 მ., ქართულ დრამატიულ საზოგადოებ.—25 მ., ყვავილების მაღაზიამ რაიან-დესოლელ 6 მან. სულ—512 მან.

გასავალი სალამოს მოსაწყობად:

თეატრის ქირა—100 მან., მომღერალთ და დამკვრელთ ჯილდოთ—70 მან., მუსიკა—20 მ., დუდუკი—8 მან., ბუფეტის მოწყობა—18 მ., „ვეშალკა"—29 მ. 45 კაპ., მარკები ბილეთებისთვის—28 მ. 58 კ., წვრილი ხარჯი—20 მან. სულ 295 მან. 3 კაპ. წმინდა შემოსავალი ქალთა საზოგადოებას დარჩა—227 მან.

ქართველ ქალთა ამხანაგობის გამგეობა უგულითადეს მადლობას უძღვნის ქართველ დრამატიულ საზოგადოების არტისტებს: ქალბატონებს თამ. გოგოლაშვილს და მარგალიტას, ბ. ბ. შანშიაშვილს და სხვ. და ბატ. კონს. ანდრონიკაშვილს უსასყიდლოდ მონაწილეობის მიღებისთვის.

აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის ქალბატონს ცაცა ამირაჯიბს, ბ. ბ. ილ. ზურაბიშვილს, ალექ. ყანჩელს, ბატ. ვიქ. ვილმაუს და ახალ კლუბის მართველობას ორკესტრის უსასყიდლოდ დათმობისთვის. აგრეთვე ყველა იმათ, ვინც პირადის თანაშრომით და ნივთიერის დახმარებით ხელი შეუწყეს სალამოს მოწყობას.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
თავმჯდომარე **ეკ. გაბაშვილისა.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სალამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

მცხეთაში № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67. უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **საჩქ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა სახქარო შემთხვევებისა, როცა და- [illegible]

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

სალამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ქირავდება

დიდი სუფთა მშრალი სარდაფი ღვინისა ანუ სხვაგვარ საქონლის საწყობად და სავაჭროდ. ოლგას ქუჩა, № 11, სახლი ნაზარბეგოვისა. 273

ფრიად იაფ ფასად

იყიდება 700 დესეტინა ადგილ-მამული, გორის მაზრაში და ქობულეთში, ზღვის პირას; მიწა ოთხკ. საჟენი მანეთად იყიდება. მისამართი: სოლენის ქუჩა № 20. 274

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

СИРОЛИНЪ Рошъ

სიროლინი „როშ"-ი

ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ხველისა, ყიფანველისა, ინფლუენციისა, ხვლების, ფილტვების ანთების შემდეგ.

უზრუნველმყოფელია ჭლექის წინააღმდეგ,

მადას აუმჯობესებს, ნარკოტულ ნივთიერებათგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.

იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

მოითხოვეთ უსათუოდ სიროლინი „როშ" ქარხნის ორიგინალურ გასაღებში.

20674 1136.

ოქროს საათი

საათის ნამდვილი ზომა

სრულიად არ არის საჭირო, ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მანეთად ღირს გირჩევთ გამოიწეროთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი სისტ. „**ხრონომეტრი**" იგი ფორმით და სიმშვენიერით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება და ღირს მხოლოდ 4 მ. ეს საათები, ქალისა თუ კაცისა, ფრიად პრტყელია, 2 სახურავიანი, მოვარაყებული ფრანგული სქელი ოქროთი 18 კარანტ., იკეტება ელექტრონით. საათის მექანიზმი საუკეთესო ღირსებისაა, ქვებით, მომართვა „რემონტუარი" 40 საათში ერთხელ, გასწორებულ წუთობით, **პასუხს ვაგებთ, რომ ათი წლის განმავლობაში სწორედ ივლის.** ფასი 4 მანეთია; 2 საათ.—7 მ. 50 კ. 4 საათ —14 მ. 25 კ. ვინც ჩვენგან გაიწერს ამ საათს ყოველთვის მადლიერი იქნება ჩვენი. ყოველ საათთან ერთად **უფასოდ** გაეგზავნება: 1. მამაკაცებისთვის ორგანი ძეწკვი, ქალების ყელზე ჩამოსაკიდი, ნამდვილი ფრანგულ ოქროსი; 2. შანა, ბინოკლი პარიზის საინტერესო სანახაობით; 3. საათის ზამშის ბუდე. გაგზავნის ხარჯი 50 კ. (ციმბირში 75 კ.) შეკვეთისამებრ გაეგზავნებათ დაუყონებლივ და უბეოდ. ყველა ენაზე შეიძლება მოწერა შემდეგის მისამართით, რომელიც შეიძლება ან გადაწეროთ ან ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე (მარკა 10 კ.), ან ღია ბარათზე (მარკა 4 კ.).

მისამართი:

Berlin 33—I. Strumfeld
Берлинъ Klosterstr. № 42.

გაფრთხილება! სიყალბის ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი—ნამდ. **ხრონომეტრი**"-ა ციფერბლატზე წარწერით: „ბერლინი **ხრონომეტრი**" Метцль 25104 1173.

კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „კავკაზის" რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—სალ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

საკუთარი სამრეწველოებიდან

ახალი თევზი:

მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა (ქუტკა).

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და

კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".